საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

საჯარო სამართლის იურიდიული პირი

გარემოს ეროვნული სააგენტო

ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ.: +995 32 243 95 03; ფაქსი: +995 32 243 95 02

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 221/ს
25/05/2023

221-21-4-202305251032

ქ. ქობულეთში მიწისქვეშა მტკნარი წყლის (წელიწადში 8 500 000 მ³) მოპოვების სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ გზშ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილია ქ. ქობულეთში მიწისქვეშა მტკნარი წყლის (წელიწადში 8 500 000 მ³) მოპოვების სკრინინგის განცხადება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, სალიცენზიო ობიექტი (არსებული 10 ჭაბურღილი) წარმოდგენილია ქ. ქობულეთში, კაიკაციშვილის ქ. №52-ში, მდ. კინტრიშის და მდ. კინკიშას მიმდებარე ტერიტორიაზე, ზღვის დონიდან 8-10 მეტრ სიმაღლეზე. წიაღითსარგებლობის ობიექტის ფართობი შეადგენს 0.07 ჰა-ს (GPS კოორდინატები: 1. X-731992, Y-4631457; 2. X-731995, Y-4631380; 3. X-731645, Y-4631505; 4. X-731428, Y-4631780; 5. X-731588, Y-4631803; 6. X-731715, Y-4631823; 7. X-731991, Y-4631514; 8. X-731912, Y-4631564; 9. X-731887, Y-4631482; 10. X-731308, Y-4631763). მონაცემთა ელექტრონული გადამოწმების შედეგად დგინდება, რომ წიაღითსარგებლობის ობიექტიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი დაშორებულია დაახლოებით 160 მეტრით, ხოლო უახლოესი ზედაპირული წყლის ობიექტები, მდ. კინკიშა და მდ. კინტრიში - 30 მეტრით.

სკრინინგის განცხადების თანახმად, დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში გათვალისწინებულია არსებული 10 ჭაბურღილებიდან წელიწადში 8 500 000 მ³ მოცულობის მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება და ლიცენზიის გაცემის ვადად განსაზღვრულია 10 წელი.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, ჰიდროლოგიური დარაიონების მიხედვით, წიაღითსარგებლობის ობიექტის ტერიტორია მიეკუთვნება აჭარა-თრიალეთის ნაოჭა ზონის წყალწნევიან სისტემას, რომელიც მოიცავს აჭარა-იმერეთის ნაპრალური წყლების წყალწნევიან სისტემას. ქობულეთის რაიონი განლაგებულია აჭარა-თრიალეთის ნაოჭა სისტემის უკიდურეს დასავლეთ ნაწილში. წყალშემცველი ჰორიზონტი წარმოადგენს ზედა მეოთხეულის ალუვიური და ზღვიური ნალექების წყალშემცველ ჰორიზონტს, რომელიც ლითოლოგიურად წარმოდგენილია ლოდნარ-კენჭნარებით და ქვიშიან-კენჭნარიანი ნალექებით, სადაც შემავსებლად ითვლებიან ქვიშები, თიხნარიანი ქვიშები, თიხნარები და თიხები. ჰორიზონტი იკვებება ატმოსფერული ნალექებით და მდინარეების წყლებით.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, მორფოლოგიურად სალიცენზიო ობიექტი მდებარეობს ქ. ქობულეთში, მდ. კინკიშას და მდ. კინტრიშის შესართავის მიმდებარე

ტერიტორიაზე. საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით, ობიექტის ტერიტორია მიეკუთვნება I (მარტივი) სირთულის კატეგორიას. წიაღითსარგებლობის ობიექტის გეოდინამიკური სიტუაცია სტაბილურია და ექსპლუატაციის ეტაპზე გართულებები მოსალოდნელი არ არის.

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, სალიცენზიო ობიექტის ტერიტორია შესწავლილია საძიებო-დაზვერვითი და დაზვერვითი ჰიდროგეოლოგიური სამუშაოების სტადიაზე. ჭაბურღილების სიღრმე უცნობია. სალიცენზიო ჭაბურღილების ზუსტი დებიტი უცნობია, თუმცა, ჰორიზონტის წყალშემცველობის ხარისხის გათვალისწინებით, ჭაბურღილებიდან წელიწადში 8 500 000 $м^3$ მოცულობის მიწისქვეშა მტკნარი წყლის მიღება შესაძლებელია. საექსპლუატაციო მარაგი დამტკიცებული არ არის და წარმოდგენილია P_2 (პროგნოზული) კატეგორიით. მოპოვებული წყლის გამოყენება შესაძლებელია კომუნალური და სოფლის წყალსადენებისათვის.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, ქიმიური შედგენილობით ჰორიზონტის წყლები უმეტესად ჰიდროკარბონატული, კალციუმიან-ნატრიუმიანი, იშვიათად ნატრიუმიან-კალციუმიანი ტიპისაა. მიწისქვეშა წყლების ტემპერატურა შეადგენს 12-15^{0}C-ს.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, თითოეულ ჭაბურღილზე დამონტაჟებულია მრიცხველი მოპოვებული წყლის რაოდენობის აღსარიცხავად, ასევე ჭაბურღილებზე მოწყობილია თავმორთულობები და დამცავი ჯიხურები. წიაღითსარგებლობის ობიექტი წარმოადგენს არსებულ ჭაბურღილებს და დაგეგმილი საქმიანობა არ საჭიროებს დამატებითი სამშენებლო სამუშაოების განხორციელებას.

სკრინინგის განცხადების თანახმად, სალიცენზიო ობიექტი არ მდებარეობს არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, ასევე, დაცული და ტყით მჭიდროდ დაფარული ტერიტორიების სიახლოვეს, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები. ამასთან, ვინაიდან, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება დაგეგმილია არსებული ჭაბურღილებიდან, საქმიანობის განხორციელება არ იქნება დაკავშირებული სამშენებლო სამუშაოების განხორციელებასთან, ახალი ტერიტორიის ათვისებასთან და გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე მოსალოდნელ ზემოქმედებასთან.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში ნარჩენების წარმოქმნა, ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე და მცენარეულ საფარზე ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის. საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით, ჭაბურღილებიდან მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება არ იქნება დაკავშირებული ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე და ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელ, ასევე, კუმულაციურ ზემოქმედებასთან.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, ბუნებრივი რესურსებიდან გამოყენებული იქნება წყალი. წიაღით (წყლით) სარგებლობის სალიცენზიო პირობების განხორციელებით, რომელსაც ადგენს ლიცენზიის გამცემი ორგანო, დაგეგმილი საქმიანობა არ გამოიწვევს წყლის გარემოს დაბინძურებას.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება განთავსდა სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და ქ. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, საზოგადოების მხრიდან, აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით, წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები სააგენტოში არ ყოფილა წარმოდგენილი.

ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის და ამავე კოდექსის მე-II დანართის მე-2 პუნქტის 2.2 ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ ქ. ქობულეთში მიწისქვეშა მტკნარი წყლის (წელიწადში 8 500 000 $მ^3$) მოპოვება **არ დაექვემდებაროს** გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და ქ. ქობულეთის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი
სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო